კვირა, 25 ივლისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 25 ივლისი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12 თვით	10 მ. — კ.
11 ,,	9 ,, 50 ,,
10 ,,	8 ,, 75 ,,
9 ,,	8 ,, — ,,
8 ,,	7 ,, 25 ,,
7 ,,	6 ,, 50 ,,
6 ,,	6 ,, — ,,
5 ,,	5 ,, 50 ,,
4 ,,	4 ,, 75 ,,
3 ,,	3 ,, 50 ,,
2 ,,	2 ,, 75 ,,
1 ,,	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 171 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 171

წლ'ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს — 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს — 3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . . 3 „ —

გაზ. „ივერიის" **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის" რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)
ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბექანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათომში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ. Редакція „Иверія".

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—8)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ა. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

ა. ი. ბალარჯიშვილი. ბავშვებისა, 9—10 ს.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ტყეშელაშვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოხელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სობოლევსკი — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

პ. ა. ბეიერი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჴხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. ხოლოდაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ბ. ს. ელში. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—უორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა, მიხეილის პროსპექტი, № 145.

დიასამიძე ალექსანდრე,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ქაჯანა

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

გულივერის მოგზაურობა

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

იაპონელების სურვილი.—წვრილი ცნობები.—ბალტიის ესკადრა.—ლიაო-მიაო.

კაპიტანს სვიატოპოლკ-მირსკის, რომელიც იაპონელებმა ტყვედ წაიყვანეს, თავის ნათესავებისთვის წერილი გამოუგზავნია, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, თვით კუროკი მელაპარაკა და წარმოთქვა, რუსები ტყუილად მოელიან იაპონელებს მანჯურიის შუა-გულსო; იაპონელები აიღებენ ინკოუსა და პორტ-არტურს, იქ გამაგრდებიან და გაჩერდებიან. მერე თვით რუსები მოვიდნენ, თუ ნებავთო. თუ რომ პლევნას 100,000 კაცი შესწირეს, პორტ-არტურისა და ინკოუს ასაღებად. ხუთჯერ მეტი სხვერპლი დასჭირდებათო.

—

ხაიჩენიდგან იწერებოდნენ 17 ივლისს: დღეს სასურსათო მატარებელს იაპონელება თოფი დაუშინეს. ხაიჩენს მოიყვანეს 9 მძიმედ დაჭრილი ჯარის-კაცი და ერთიც მოკლული მოასვენეს.

-ტყვეობიდგან გამოპარულნი ამბობენ, ვითომც იაპონელი ჯარის კაცები ჩვენებს აწვალებენ, აფიცრები კი მფარველობას უწევენ. ერთს ყაზახს კინაღამ თვალი ამოსთხარეს, მაგრამ მათი უფროსი წამოესწრო და დატყვევებული რუსი თავის კარავში წაიყვანა. ღამე ყაზახი გამოიპარა. ინკოუში ჩინელებმა დაიჭირეს პოლიცმეისტერის მოსამსახურე, შემოეხვივნენ, მასხარად გახადეს და იაპონელები მოიწვიეს, თავი გააგდებინეთო. გენერალ ოქუმ კი პური აჭამა და გაანთავისუფლა.

ვაჭარმა ბუშმა, რომელიც ჩვენ კონტრაბანდას გვიზიდავდა, იაპონელებს მეჯლისი გაუმართა და ევროპიელთა კოლონიის სახელით სიხარული გამოუცხადა, რომ ინკოუ დაიჭირეს. ჩვენს დროს კი ბუში ბევრს რამეს გვპირდებოდა და გვარწმუნებდა, თქვენი ერთგული ვარო (რ. ს.).

—

ლიაოიანიდგან იწერებიან: დაშიცაოსთან ორის დღის ბრძოლაში დაჭრილთ ძალიან ცოტა მომვლელი ჰყავთ. სათნოიანი დები და ძმები მოვლას ვერ ასწრობენ. დაჭრილების მომეტებულ ნაწილს თავში აქვთ ჭრილობა.

აქ ჩამოვიდნენ კავკასიელები, რომლებსაც იაპონელი მხედარი შეუპყრიათ. მას უპოვეს ათი პაპიროსი რუსულ ქარხნისა, კათოლიკეთა პატრის სურათი და რუკა. ტანთსაცმელი და მოკაზმულობა ჩინებული აქვს. (პ. გ.).

—

ტოკიოდგან «რეიტერის სააგენტო» იუწყება, ეხლა ნამდვილად გამოირკვა იაპონელების დანაკარგი დაშიცაოსთანაო: მოკლულია 12 აფიცერი და 136 დაბალი ჯარის კაცი, დაჭრილია 47 აფიცერი და 848 დაბალი ჯარის კაცი (რ.ვ.).

—

ხარბინის ფუდუტუნს, გენერალ ჯაომიანს თავისი ახალი სასახლე რუსების საავადმყოფთათვის დაუთმია უსასყიდლოდ და უვადოთ. სასახლეში 125 ავადმყოფი დაეტევა ექიმ-ფერშლებითა და ყველა მოწყობილებით. ამისთანა სასახლეს 10—12 ათას მანათ ნაკლებ ვერ იქირავებდნენ და ვერც თუ იშოვიდნენ ხარბინში.

ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა რუსის თავად-აზნაურობა ხელოვნურად შესრულებულ ადრესს უმზადებს და ძველებურად დასევადებული სურა უნდა მიართვას ჰიქებითურთ. (ნოვ.).

—

ბალტიის ფლოტის მოწყობას ძალიან აჩქარებენ, რომ მალე გაიგზავნოს შორეულ-აღმოსავლეთისკენ.

გემს «კორეას» ახალი მანქანა ექმნება, რომლითაც ქვა-ნახშირის ატანა გაუადვილდება. თუ რომ მანქანა გამოსადეგი გამოდგა, სხვა გემებსაც ამ სისტემის ელექტრონული სიგნალიზაცია ექმნება და მარკონის სისტემის უმავთულო ტელეგრაფის აპარატები, რომლებსაც ეხლა უკვე სდგამენ «კორეასა» და «ჩინეთზე». ერთის სიტყვით, სამხედრო გემებს ბევრნაირად გაუმჯობესებენ (კრ. ვ.).

—

ლაო-მიაო.

ლაო-მიაო ომის ღმერთია მანჯურიაში, რომელსაც წელს ესოდენი მსხვერპლი შესწირეს და კიდევაც შესწირავენ მეომარნი. ამ ღმერთის სახელზედ ლიაოიანის ახლო, დასავლეთის ალაყაფთან, აგებულია დიდებული ტაძარი-საკერპო, ძველი-ძველთაგანი.

დღეს ამ საკერპოს ერთს ნაწილში გამართულია სამრეცხაო რუსის ჯარისა. მეორეში «მანჯურიის ლაშქრის უწყების» რედაქციაა. მესამეში დაბანაკებულან სამხედრო კორრესპონდენტები. საკერპოს გალავანში საჯინიბოა «უზენაესის მხედრობისა.» დღესაც იქ რავდენიმე ხის ცხენი დგას. ეხლა ამ საჯინიბოში მანჯურიის ლაშქრის ცოცხალი ცხენები დაუბინავებიათ.

საკერპოს ეზოში დიდი ბებერი ხე სდგას, რომელიც გველისავით დაკლაკნილია. შავი პირდაღებული ფუღურო გველეშაპის პირსა ჰგავს. მთვარიან ღამეს ამ ხის ძირში მჯდომს საკერპოს ბანიდგან თავს დაჰყურებენ ქვის გველეშაპები და კერპები. თურომ მოწმენდილ ცის კამარაზე ღრუბლებმაც გადირბინეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გეგონებათ, ვითომც კერპებიც მოძრაობენო. ლიაოიანის გალავანი თავის სათოფურებით შავ ქედად გეჩვენებათ. მანჯურია ისეთი ქვეყანაა, სადაც ყოველი სიმახინჯე და საშიშ-საზიზღარი ღვთის სახედ არის მიჩნეული.

მე ხის ძირში ვდგევარ,—ამბობს «ნოვ. ვრემ.» კორესპონდენტი. აქვე არის გვიდო პარდო, ახალგაზდა ლამაზი იტალიელი, «ტრიბუნას» კორესპონდენტი. ის მალტიელია და გარიბალდის რაზმშიც ყოფილა.

— რა კარგია ეხლა ჩვენი იტალია! ამოკვნესით ამბობს პარდო და თან მთვარეს შეუჰყურებს.

— წავიდეთ, ჩინელების კერპებს შევხედოთ, სენიორ გვიდო, ისინი თითქო ამ მთვარეზედ გაცოცხლდნენო.

— ჩინელებს, ვგონებ, ეგ კერპები აღარა სწამთ.

— დიაღ, მიაოს საკერპო მივიწყებულია. მაგრამ იქ ერთს კუთხეში მე შევნიშნე სამსხვერპლოზედ ნაცარი და წითელ სანთლის ნამწვი.

ჩვენ კიბეზედ ავედით. მეორე ეზოში ნარ-ეკლებს შუა დავინახეთ დიდი ჟანგიანი ზარი, გველეშაპით გარშემორტყმული. ტაძრის კედლები და სახურავი ბალახით იყო მოცული. ქვის კუ, გველეშაპები, სხვა და სხვა გამოქანდაკებული საშინელი სანახაობა და მხატვრობა, მანჯურელების ისტორიის სურათები. წყვდიადით მოსილ საკუთარ საკერპოში და განცალკევებით ამართულ ტახტზე განცხრომით მჯდომი კერპი მარო, გადმოკარკლულ თვალებით, სწორედ რომ საშინელი სანახავი იყო. გარს ეწყო ცული, ლახვარი, ხელი, მუშტი და სხვა ამ გვარი. სამოსს აქა-იქ ოქროს ვარაყი შერჩენია. რამდენიმე ნახევრად შიშველ ჩინელს თავის კერპის წინ ეძინა. მტვერი, ნაგავი და სიბინძურე იყო გარშემო. მე უნებლიედ ღიმილი მომივიდა და მომაგონდა ლერმონტოვის სიტყვები:

„გაოხრებული ტაძარი მაინც ტაძარია, დამხობილი კერპი მაინც ღმერთია".

— აბა, უყურეთ, ჩინელები საცვალ

აშრობენ საკერპოდგან გამოტანილ ლახვრებზე.

მართლაც, მოვარაყებულ ლახვრებზე თოკი გაებათ და საცვლები გაეფინათ საკერპოს შინა ეზოში. აქედგან მოჩანდა ლიაოიანის კედლები და მთელი ხეობა. ღამურებით სავსე იყო. შმორის სუნი სულს გვიხუთავდა.

— ნეტავ, ომის ღმერთი, საშინელი მიაო რას გვიმზადებს იქ, მთებში? შევეკითხე გვიდო პარდოს და მაღლობებზე მივუთითე, 30 ვერსის სიშორეზე, სადაც იაპონელები დაბანაკებულან.

— როგორ გგონიათ, აქაურ ჩინელებისა უნდა გვეშინოდეს თუ არა, როდესაც იაპონელები მოვლენ?

— ლიაოიანში არა. ხოლო მე ჩინეთში ვყოფილვარ და ვიცი, რომ ხუნხუზები ძალიან ეტანებიან ძველ სამლოცველოებს. აქაც, ამ საკერპოსაც, ასიოდე დაბრანძული საჰვო კაცი ექცდლება. აბა, უყურეთ, ყოველ კუთხეში მიწოლილან.

— ვინ მოდის?—ერთბაშად მოგვესმა დარაჯის ხმა.

ჩვენ მიუახლოვდით სალდათებს. ისინი ვიღაც ქართველს ეძებდნენ, რომელსაც, ეს-ეს არის, ეხლა კაცი დაუკლავს და აქეთ გამოქცეულა. სალდათებმა დაჩხრიკეს მთლად საკერპო, მაგრამ ვერ იპოვეს.

ჩვენ ეზოში ჩავედით. იქ ცეცხლი აეპრიალებინათ და ვახშამს ამზადებდნენ, ისმოდა ხუმრობა და სიცილი.

ღვიდო პარდო საკერპოს კიბეზე ჩამოჯდა და სიმღერა დასძახა მაგრამ მალე ხმა ჩაუწყდა. გულს რაღაცა გვაწვებოდა. ზოგს იტალია აგონდებოდა, ზოგს რუსეთი. აქ კი, ამ უპირმარილო მანჯურიაში, სანუგეშოს ვერასა ნახავს კაცი, სულ ბრძოლა და ბრძოლა. საკერპოს ეზო-მოედანზედ ნაძალადევი ხუმრობა და სიცილი იყო. კერპი ლიაო-მიაო მრისხანედ გვრჩილავდა და ლიაოიანის ჰაერი სასიკეთოს არას გვპირდებოდა.

ტფილისი

⁂ პეტერბურგიდგან გაზ. «კავკაზს» დეპეშით ატყობინებენ, რომ კავკასიის მთავარ-მართებელის კანცელარიის დირექტორი, გენერალ-მაიორი ვლ. ო. ტროფიმოვი, 23 ივლისს და წარუდგა ხელმწიფე იმპერატორს.

⁂ 18 ივლისს (ახ. სტ.), ლეიპციგში, როგორც გაზეთები იუწყებიან, ადგილობრივს უნივერსიტეტში, ეტნოგრაფიულ მუზეუმის დირექტორის, პროფ. ვოილეს წინადადებით, ერთს ჩვენს თანამემამულეთაგანს, ბ-ნს ვ. დუმბაძეს, წაუკითხავს რეფერატი ამ თემაზედ: «Sociale Griderung in Samoa». ეს რეფერატი ძლიერ მოსწონებია დამსწრე საზოგადოებას და პროფ. ვოილეს უთხოვნია ბ-ნ დუმბაძისათვის, რომ მომავალს ზამთარში წაიკითხოს რეფერატი ამ თემაზედ: «ქართველები და სომხები».

⁂ ბაქოს გუბერნატორმა, გაზ. «კავკაზის» სიტყვით, აცნობა კავკასიის უმაღლესს მთავრობას, რომ ბაქოში 22 ივლისს აღმოჩენილ იქმნა ერთი შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისაო.

⁂ 19 ივლისს, საღამოს 6 საათზედ, შეიარაღებული ბოროტ-განმძრახველნი, რიცხვით 8 კაცი, შევარდნენ გელათის მონასტერში იმ დროს, როცა ბერები საღამოს ლოცვაზედ იდგნენ. ოთხი კაცი ეზოში დარჩა სადარაჯოდ, ოთხი კი ეკკლესიაში შევიდა. ქურდებმა უბრძანეს ბერებს: «გაჩუმდითო», და თვითონ შეუდგნენ ჩხრეკას. წაიღეს იმერეთის მეფეთა და მიტროპოლიტთა გვირგვინები, მეფე დავით აღმაშენებელის ბეჭედი, ძვირფასი ქოში თამარ მეფისა, ძვირფას თვლებით შემკული და სხვა ნივთები. ფულად წაიღეს 300 მანეთამდე. ეს ამბავი მაშინვე აცნობებს ქუთაისის მაზრის უფროსსა და ადგილობრივს ბოქაულს, მაგრამ ქურდების კვალისათვის ჯერაც ვერ მიუგნიათ. (ცნობ. ფურც.).

⁂ გუშინ-წინ, 23 ივლისს, სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის ფირმამ «გეორგია»-მ აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ სტამბოლიდგან სამი გემი, ტფ. ქალაქის საბჭოს კომისიის მიერ შეკვეთილ ქუჩების მოსაფენ ქვებით დატვირთული, უკვე გამოემგზავრა ბათუმისაკენაო. პირველი გემი გამოსულა სტამბოლიდგან 10 ივლისს, მეორე—15 და მესამე—20. ტფილისში ამ ქვებს მოელიან აგვისტოს პირველ რიცხვებში.

⁂ ტფილ. სასულიერო სემინარიის ახალ შენობის დამთავრებას, როგორც ჰფიქრობენ, მოასწრებენ 19 5 წლის 1 იანვრამდე;

⁂ საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულომ შესაძლოდ არა სცნო, მიანიჭოს მოქალაქეთა გამგეობას უფლება, ამოსწეროს მოხარჯეთა სიიდგან და მისცეს დათხოვნის მოწმობა მოქალაქეთა წოდების იმ ყმაწვილ კაცთ, რომელთაც საშუალო სასწავლებლები გაუთავებიათ და ეხლა სურთ უმაღლესს სასწავლებელში სწავლის განგრძობა.

⁂ 22 ივლისს, როგორც ვწერდით, ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიამ დაათვალიერა ვაგონები და ცხენები ბელგიის უსახელო საზოგადოების ტრამვაისა. დათვალიერების დროს კომისიამ აღმოაჩინა 59 ავადმყოფი ცხენი და წინადადება მისცა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, იზრუნოს ახალ ცხენთა შეძენისათვისა. კომისიამ აგრეთვე დაადგინა, სანიტარულად მოაწყოს ხსენებულმა საზოგადოებამ საჯინიბოები.

⁂ ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელთა, ბ-ნთ ვასილიევისა და დგებუაძის თაოსნობით, ამ დღეებში ბაკურიანში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი რუსეთის გამოჩენილ მწერლისა ა. პ. ჩეხოვის სულის მოსახსენებლად.

⁂ გუშინ-წინ 23 ივლისს, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა აცნობა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამგეს გ. გ. ალიბეგოვს, რომ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა ქალაქის მილის წყლისა იკისრა ექიმმა ა. ა. გოლოვკოვმა და ამ საქმეს შეუდგება 26 ივლისიდგანაო. წყლის გამოკვლევა კვირაში ორჯერ უნდა მოხდეს.

⁂ კავკავში მოელიან უცხოელ მოგზაურთ, რომელთაც ჰსურთ გამოიკვლიონ მეცნიერულად თერგის ოლქი.

⁂ აგვისტოს 1-ლ რიცხვებში ტფილისში მოელიან ბესარაბიის გუბერნიიდგან ოლგას სამკურნალო სკოლის მოსწავლეთ. ექსკურსანტებს თან ეახლებათ ხსენებულ სასწავლებლის გამგე აგრონომი შიმანოვსკი. ექსკურსანტთათვის დასაბინავებელი ადგილი უკვე დაუმზადებიათ საბაღოსნო სკოლაში.

⁂ რათა თერგის ოლქში არ გაჩნდეს ხოლერა საქართველოს სამხედრო გზით, თერგის ოლქის უფროსი სთხოვს ტფ. გუბერნატორს, ამ გზაზედ, რომელიც ტფილისის გუბერნიის ფარგალში იქმნება მოქცეული, დაწესებულ იქმნას რამდენიმე სათვალყურო ადგილები და გაიმართოს ბარაკები იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა მგზავრები ხოლერით გახდნენ ავად.

⁂ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება». უკვე შეუდგა ვალ. გუნიას-მიერ შედგენილ «საქართველოს კალენდრისა» და «კედლის კალენდრის» ბეჭდვას. იმედია, რომ წელს შარშანდელსავით არ დააგვიანებენ და ნოემბრის გასულისათვის მაინც იქნება მზად ორივე კალენდარი.

⁂ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის დირექტორი ნ. ნ. შავროვი ტფილისს დაბრუნდა გაგრიდგან, სადაც ის დროებით განაგებდა გაგრის კლიმატიურს სადგურს.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში, ტაინ. სავ. ი. ს. მედვედევი ტფილისიდგან ბორჯომს წავიდა.

⁂ პიატიგორსკში გარდაიცვალა მოსკოვის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი ვ. ს. ბოგოსლოვსკი. პროფ. ბოგოსლოვსკი ცნობილია. როგორც კავკასიის სამკურნალო წყლების მკლევარი, სადაც ის 30 წელიწადი მუშაობდა.

⁂ 21 ივლისს ქალ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე გორის მაზრის, სოფ. ყარაღაჯის მცხოვრების, გლეხის ვასილ მამზიშვილისა, (21 წლისა), რომელსაც ჰბრალდებოდა ალექსანდრე გადილეშვილზედ (14 წლისა) ძალ-დატანება და მოკვლის განზრახვა იმ აზრით, რომ დაეფარა თავისი პირველი დანაშაული. ტფილ. ოლქის სასამართლოს სესიამ, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ვასილი მამზიშვილი და გარდაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და 10 წლით კატორღაში გაგზავნა.

საქართველოს ამბები

დუშეთი. ზაფხული ჩვენსკენ მშვენიერი დადგა. დროზე წვიმა და თავის დროზე დარიანი დღეები ხელს უწყობდა ნათესობის რიგიანად შემოსვლას. იმედია, კარგი მოსავალი იქმნება პურისა, ქერისა და სიმინდისა, რომელსაც აქეთ წინად ცოტას სთესავდნენ და ეხლა კი გაუტკბათ და ბევრსაც სთესენ. ისეთი მოვლა-მოთოხნა რომ იცოდნენ სიმინდისა, როგორც ეს სხვაგან იციან, მართლა ბევრი სიმინდი მოვიდოდა, რადგან ადგილის სიბევრე და სინოყიერე ხელს უწყობს.

თივა ბლომად მოვიდა. მაგრამ შარშანდელი დაშინებულები არა ჰყიდიან და ამიტომ ძვირიც არის. ვენახებსაც ძალიან ემადლიერებიან დუშეთის მაზრაში, სადაც კი არის და ნამეტურ ვინც უწამლა, და წამლობა ვენახისა ხომ აქეთაც ძალიან გახშირდა. ასე რომ, იმედია, მსუქანი და დოვლათიანი შემოდგომა გვექნება, ბევრი გოგო და ბიჭი გაიხარებს და, „ჩაეგრიხება ერთმანეთს «უსურვაზის წნელითით“, რადგან ქალის გათხოვება და ბიჭის დაქორწილება სოფლად დამოკიდებულია მოსავლის რაოდენობაზე და ავკარგიანობაზე. თუ კარგი მოსავალი ექნა, მაშინაც ძლივს ახერხებს სოფლის კაცი «ბიჭის დაქორწილებას» არა და, აქეთ იმდენი უზომო ხარჯი იციან ქორწილში, — რომ ვერ ჰბედავს ქორწილს და ისე რჩება. ხანში შესულ უცოლოებს უფრო ღარიბებში შეხვდებით და მდიდარ გლეხებში კი ძალიან ყმაწვილებსაც ცოლები ჰყავსთ.

თუ მოსავლის მხრივ ჩვენში ზაფხული კარგია, მაგივრად ჩვენი დუშელი გასათხოვარ და გათხოვილ ქალებისთვის კი დიდი არაფერია. დუშეთი ჰაერით თუ წყლით ზაფხულობით რიგიანია და ამიტომ ზაფხულში აქაც ბლომად იყრის ხალხი თავს. შეხვდებით ყველა ჯურისა და ხელობის ხალხს. აქ მოდის მდიდარი და გასუქებული ვაჭარი, რომელსაც ცოლი უშვილო გამოსდგომია და ძრიელს ხატებს ევედრება, ღმერთო მამეც მემკვიდრეო; ხშირია სტუდენტიც, რომელსაც ერთი ადლი საყელო კისერზე აკრავს და ცხენის ხამუთივით პატრონს ჩასჭიდებია და ახრჩობს, დიდ გაჭირვებაშია. მაგრამ «მოდას» ვერსად წასულია და ნამდვილად იხრჩობა. ხშირად ექსკურსანტებიც ამოგვივლიან-ჩამოგვივლიან, თუ რუსეთიდან და თუ ტფილისიდან. არც ნასწავლი გვაკლია და არც უსწავლელი; მაგრამ, მაგარი ის გახლავსთ, რომ ჩვენის დუშეთის ცხოვრება თუ უკან მიდის, თორემ წინ არა: ორი სახლი რომ შენდებოდეს, ოთხი ინგრევა. არც თეატრი, არც კითხვა და არც გადაკითხვა, არც ერთი და არც მეორე; თორემ ამდენ სტუდენტსა და მოსწავლეს ერთის ახალის ამბავის თქმა თუ ვერ შეუძლია, ძველი ამბავი მაინც გვითხრას, როგორც ამას წინად ჩადიოდნენ, თუმცა ეხლა, ვიმეორებთ, მეტი ორ-ადლიან საყელოიანი ქალი და კაცი დასეირნობს ჩვენ ბულვარზე, ვიდრე წინად...

ხოლერის მოახლოებამ დუშეთიც დააფაცურა. აქაური მედუქნეები და მცხოვრებლები გვიან უდებენ ხოლმე სისუფთავეს თავს და, თუ მათრახითა და ჯოხით არ დაადექი, არ ასუფთავებენ ეზოსა, ბ არ დაგვიან კარ-მიდამოს. ქალაქის თვით მმართველობამ ვერ მოახერხა სუფთაობის დაცვა ქალაქში და ისევ ღმერთმა უშველოს ადგილობრივ მაზრის უფროსს, რომელმაც ფიცხელი განკარგულება მოახდინა, რათა ყოველ მედუქნეს და სახლის პატრონს თავისი წილი ეზო და ქუჩა ძალიან სუფთად შეინახონ. მართლაც ძალიან სუფთაობაც ჩამოვარდა თვით დუშეთში და, იმედია, სოფლებშიაც სასტიკ ყურადღებას მიაქცევენ და სანიტარულის მხრივაც ცოტათი მაინც უზრუნველ-ჰყოფენ.

სისუფთავის დასაცველად, მოგეხსენებათ, აბანოც ერთი უსაჭიროესი ადგილია; აბანოს ჩვენი დუშეთი მოკლებულია, კაი ხანია, და არც ისეთი მდინარე წყალი ჩამოუდის, რომ შიგ ბანაობა შეიძლებოდეს. ამიტომ აქეთ, ეს სამი ოთხი წელიწადია, ერთი ტფილისელი პედაგოგი და ერთი აქაური ბებია-აკუშერკა «მასაჟისტკა» შეამხანაგდნენ და განიძრახეს დუშეთში აბანოს აშენება. იქ, სადაც «ორ-წყაროა». სახლი ააშენეს, თითქმის ყველაფერი მზად არის, მხოლოდ, რაც ყველაზე პირველი და უსაჭიროესია აბანოსათვის, წყალი არ აქვსთ.

პარიეთელი.

ქ. თელავი. თელავის საზოგადოება ამ ზაფხულს დიდ გართობაშია: 3 და 19 ივლისს, წარმოდგენები იყო; 22, 24, 31-ში კიდევ სამუსიკო, საცეკვაო საღამო და სეირნობა გაიმართება. სეირნობა შარშანაც გაიმართა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ და დიდძალი ხალხი დაესწრო. ამ ჟამად უკვე სამზადისს შესდგომიან რამდენიმე ყმაწვილი ქალი და კაცი. ვფიქრობთ, სეირნობის საქმეს ფრიად მშვენივრად მოაწყობენ. გარნა აშკარადა სჩანს, რომ ერთი ნაწილი აქაურ საზოგადოებისა თავიანთის ბელადების გავლენით მოქმედობენ და უმიზეზოდ სეირნობას არ თანაუგრძნობენ. შარშან ამ საზოგადოებამ ერთი ფრიად სიმპატიური ქალი გაასამართლა და შეაჩვენა, რადგან

ფელეტონი

შ უ რ დ უ ლ ი.

(საკვირაო გაზეთი).

წელიწადი მეორე.

№ 24.

ტყე შრიალებს...

ტყე შრიალებს... სიო გვბერავს,
ცას რიჟრაჟი ეპარება,
განთიადის სჩანს ნიშანი
და სიბნელეს სული ჰხდება!
რა ხანია, გზად მივდივართ
მე და სატრფო, ცოცხალ-მკვდარი,
ძნელი გზები გავიარეთ,
გადვიარეთ მთა და ბარი.
ულრან ტყეში დავიბენით,
აგვერია გზა და კვალი,
იქ სიბნელის საბრძანებელს
ვერ ატანდა ჩვენი თვალი...
და ჩვენ მაინც მოვდიოდით,
აწც მივდივართ დაუღლელად,
ამოველით ფერდობზედა,
ცოტაღა გვაქვს გზა სავლელად...
ჩემო სატრფოვ, დატანჯულო,
მხნედ მომყევი, ნუ შედრეკები,
ულრანი ტყე შეგვითხელდა,
უკვე განვლეთ ხევ-ხუვები...
ტყე შრიალებს... სიო გვბერავს,
ცას რიჟრაჟი ეპარება,
განთიადის სჩანს ნიშანი
და სიბნელეს სული ჰხდება!

იზიძე.

ლეჩხუმელი ლაჯნელები.

იტყვის მაცხოვარი:
„ამოიღე დვირე თვალისაგან
შენისა“.

ყოფნა, არ ყოფნა! ათქმევინებს გენიოსი შექსპირი ჰამლეტს. ამ ორში რომელი სჯობს, მეცნიერებასაც ვერ გამოუკვლევია!.. რად უნდა შეჩერდე?! თავი რად უნდა შეიფარო, მყუდროება მოიპოვო, ზრდილობის ფარგალში მოეთავსო?! კიდევ არსად. ან სად.?! სადა არს, სოფელო, დასაბამი და, სიკვდილო, საწრეტელი შენი; სად არს, სისაძაგლევ, ცილის წამებავ, სიხარბევ, მტრობა და შურო საზღვარი შენი?—კიდევ და კიდევ არ სად...

ბედნიერი, დრო-ჟამი დაგვიდგა, მეოცე საუკუნეა; აშკარაა, არა თუ წინ მივდივართ,—მივფრინავართ, ეს მეოცე მეთორმეტეს ორ გვარად მოევლო თავს, როგორც რიცხვით, აგრეთვე ტალანტით, პოეზიით. სად არს ანგარიში მგოსნებისა, პროზაიკებისა, ვინ მოსთვლის!.. წინეთ იყო რუსთველი, შავთელი, სარგისთმოგვლი, ხონელი და კოლხიდელი. ლეჩხუმელი.—საუბედუროთ არსად.მაგრამ,—აჰა?! დღეს დიდება უფლისა ჩვენზედა გამობრწყინდა, დღემდის განშორებულს ცივილიზაციისაგან მივიწყებულს ლეჩხუმს დღეს მწერლობის შუქი მოეფინა.

სამწერლო ასპარეზზედ რომ გამოგოგმანდე, ეს მაინცა და მაინც ძნელი არ ყოფილა!—ამისათვის არც სწავლა-განათლება, არც მოგზაურობა დაკვირვების და შესწავლის აზრით არა თუ ევროპასა და რუსეთში, არც შავის ზღვიდან კასპისამდე, არც კავკასიონის ქედების თვალის გადავლება, რომელმაც არა ერთი უცხოელი მწერალი აღაფრთოვანა და წარმოაშობინა უკდავნი საუნჯენი გონებისა, საჭირონი არ ყოფილა. საკმაო არის თურმე რაღაც ცოტაოდენი ჯღაბნა ისწავლო, გამოჩენილ პოეტთა სახელები დაისწავლო და თუთიყუშივით რამდენიმე ფრაზა წამდა-უწუმ ისრიალო, და გათავდა! —მწერლად მიაჩნია თავი.

ვაი ჩვენს დრო-ჟამს! ვაი და ვუი ჩვენს შეორკეცებულს ოხვრა-გლოვას, ძაძა მოსილ მდგომარეობას, საცრემლოს, საგოდებელს! სად ჯოჯოხეთში ჩავიკარგო, რომ შევსძლო ამოღება შეხამებული სახელისა, რაც ზოგთა საქციელს შეეფერება.

ვისაც კურთხევანის და ჟამნ დავითნის დაზეპირება მოუხერხებია და სხაპასხუპით ისვრის უთავბოლო სიტყვებსა, იმასაც თავი მწერალი ჰგონია. რედაქციებიც ხშირად სტყუვდებიან და თვის წმინდა ტაძარს ყველას უღებენ. აი ვიღაც ბოვშს, ხნით კი არა, ჭკუით, თავის სურვილი არ უსრულდება, ჰკიდებს კალამს ხელს, გარბის რედაქციისაკენ, რომ უსამართლოდ გამოლანძღოს ვინმე. ჩემის აზრით, წერილის გაგზავნა ვინმესაგან რომელიმე პირზედ კიცხვის შინაარსით და მისი დასტამბვა მინამდის, ვიდრე თვით მკიცხველს არ გაიცნობს, ე. ი. არ გაიცნობს მის ცოდნას, მიმართულებას, და ყველა იმას, რაც ზნეობა ფაქიზ ადამიანს ავალებს ჭეშმარიტების ღიადს, რედაქციის მხრით შეცოდებაა. ვინ იცის, რაოდენ მაღალია უსამართლოდ გაკიცხული მკიცხველზედ! ბრძანებს მწერალი: «ვამხილეო»! რა ამხილა და ვის ამხილა!! ბავშს წრთვნიან, ცხოველს ჰხედნიან, უამისოდ ერთი ანუ მეორე რა იქნებაო, ბრძანებენ ზოგიერთნი, პასუხი გაეციო, თავი იმართლეო. ოჰ რა უსამართლო განაჩენია!? არა, რისთვის აგდებთ პატიოსანს და მოღვაწე ინტელიგენტს ისეთს მდგომარეობაში, რომ ამ ლონისძიებას მიმართოს,

ეხსომება მკითხველს, რამდენიმე წლის წინად ჩვენ სათაყვან-საგოგმანებელ აკაკის ერთმა აზნაურმა თ. ჩ. ვითომ და კრიტიკა დაუწერა; ამ სულ-მნათს რაღაც ახირებული იგავარაკით უმდაბლებდა ცრემლში ნალესს, ნაღველ-სამსალით შეზავებულ სატირის კილოს. ჩ—ვამ აკაკის ჩანგის სიმების შეწყვეტ-შეკვეცა განიძრახა. ეს იმას გავს, ჩვენში რო იტყვიან—«სად თრიაქი, სად აბუსალათიანიო». პასუხი მახვილ გონებიანმა მსწრაფლ ჩამოუკვესა:—«კრიტიკოსი ჩა—ჩა ერთ ფურცელში ჩარჩა, რა გინდ კრიჭო კურტნის ცხენი, არ გახდება ბაჩა». და სხვა.

აი კიდევ მეორე ნიმუში: ლეჩხუმიდან «ცნობის ფურცლის« № 250, სხვათა შორის, დასტამბულია წერილი ლ. ბ.-სა «ახირებული ჩვეულება შემოიღეს ლეჩხუმში:

ვინც სამსახურიდან გამოვიდა ან სხვაგან იქნა გადაყვანილი, ღირსია თუ არა, სადილს უმართავენო და სხვ.

ერთი რომ ეს ახალი არ არის, ყველგან ასე იყო და ეხლაც ასეა, მაგრამ იყო და არის ისეთი ადამიანთათვის, ვისაც საზოგადოება სთვლიდა და სთვლის ღირსად ამისა. თუ ასე არ იყოს, სხვაც დაეთხოვა სამსახურს, სასყიდელი გასყიდულისათვის მიიღო ოცდა ათი ვეცხლი, რომლისა დადება სიწმინდესა არა ჯერ არს. ამისთანას გაუკეთა სადილი ან ამხანაგობამ ან ვინმემ? მაშ ყველასათვის არ ყოფილა.—ამას წინეთ ერთს გაუმართესო, ბრძანებს. კი მოეხსენება, ვისიც თაოსნობით იყო გამართული და ჩვენ ვფიქრობ, მისი მოქმედების წინააღმდეგ გალაშქრება, ცოტა არ იყოს, იარაღს დაუჩლუნგებს. რაც შეეხება უმთავრეს მიზეზს იმ სადილისას, მისივე შეთხზული შაირით ვუპასუხებთ:

გინ შეიძლებს ესდენს კეთილს,
თემი ერთხმად რომ აქებდეს!
ანუ ბოროტს რას ჩაიდენს,
რომ ყველანი აძაგებდეს!

—

მაგრამ საგანს ღირსეულად
კაცი პატივს უნდა სდებდეს
თვით მაზედვე მტკიცედ დარჩეს,
რასაც სხვაზედ ქადაგობდეს.

—

ზოგი თავის ბედნიერს დღეს
ბოროტებას მოახლოებს;

მან სეირნობისთვის გამართულ სიმღერებში მხურვალე მონაწილეობა მიიღო.

თელავში მომეტებულ ნაწილად წარმოდგენები საქველ-მოქმედო აზრით იმართება. ამ საქმეს რამდენიმე მანდილოსანი ქალი განაგებს და დახმარებას უწევს მოსწავლე ახალგაზდებს, ხოლო ეს დახმარება ეძლევათ იმათ, ვინც მართლა საჭიროებენ და ვისგანაც რამეს მოველით, თუ არა,—ამისი კი რა მოგახსენოთ. შარშან ერთ-ერთ ქართულ გაზეთში აღიძრა ბაასი იმის შესახებ, რომ ვინც საზოგადოების დახმარებით სარგებლობს, მოვალე გავხადოთ მიღებული ფული თავის დროზედ ისევ იმ საზოგადოებას დაუბრუნოს იმისთანავე კეთილ საქმისთვისაო. მაგრამ მოგეხსენებათ ქართველების პეწენიკობა. ამ ნაირ სიმპატიურ რჩევას ყური არავინ ათხოვა. სთქვეს: ამ ნაირ საქმეში ანგარიში როგორ შეიძლებაო.

ამ ერთის თვის განმავლობაში წარმოდგენები სოფლებშიაც გაიმართა: ვაჩნაძიანს, აწყურს და საბაჟეში და მშვენივრადაც ჩაიარა.

ეს არის ეხლა წავიკითხეთ ბ-ნ აჯიმამმუდოვის წერილი «ივერიის» 166 №-ში. წერილი თავდაუჭერელ კილოთია დაწერილი; ეტყობა, ავტორი რიღათიც არის გამწარებული...

ბ-ნი აჯიმამუდოვი უარჰყოფს, თელავის მოძრავის სცენის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში თელავის სახელით არ მისარგებლიათ. გარდა ამისა სცენის მოყვარეობის დიპლომსა გვთხოვს და სხვის გულში ხელის ფათურსა გვწამებს. პირველის შესახებ, რადგან ჩვენ კითხვა არა გვცოდნია, მივუთითებთ მკითხველს «ცნობის ფურცელ»-«ივერიაში» დაბეჭდილ ბ-ნ აჯიმამუდოვის სამადლობელ წერილზედ არტისტებისადმი. მეორის შესახებ, აბა რა გვეთქმის. ჩვენ ბევრჯელა ვყოფილვართ სცენაზედ, მაგრამ ბ-ნი აჯიმამუდოვი უარს ჰყოფს, რომ არ უნახავს, და იმედია, სხვა თელავის სცენის მოყვარეებზედ მაინც, რომელთაც მასთან უთამაშნიათ, უარს არ იტყვის და იმ ფულის ანგარიშს გაუზიარებს. ხოლო, რაც შეეხება მის გულში ხელის ფათურს, ამასა კი ღმერთმა დაგვიფაროს!

ა—ლი.

წერილი

რედაქციის მიმართ.

(წმიდა ათონის მთიდგან).

ჩვენ, ქართველთა ძმანი ივერიის ახალის სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარებლისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი, ძალ-მომრეობითა მიითვისეს თავის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენთა ბერთა და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიხუთებით აუცილებლად საჭირო წყალის უქონელობისა გამო, რადგანაც წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და მილით მოყვანისათვის საჭიროა სამი ათასი მანეთი. ჩვენ კი სრულიად არა რაი გვაქვს. ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთა, სასულიეროთა და საეროთა, წარჩინებულთა, საჩინოთა ვაჭართა და ყოველ-წოდების კეთილ მორწმუნეთ-შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის-მცნების აღსრულებისათვის».

ჩვენი ადრესი: Турція (черезъ г. Батумъ). На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона монастырь, Архумандриту О. Нифонту, для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова, старцу іеромонаху, отцу Іонѣ съ братіею.

მღვდელ-მონაზონი იონა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 ივლისი

ლონდონი. გემთა საზოგადოებამ «Peninsular Oriental Company» განაცხადა, რადგან გამორკვეულია, რა უნდა იქნას აღიარებული კონტრაბანდად, იმისი გემები აღარ წაიყვანენ პასაჟირებსა და ტვირთს შანხაის იქითა.

ჩიფუ. (რეიტ. სააგ.) ერთი პასაჟირთაგანი გემ «ხაფსანისა», რომელიც აქ მოვიდა გემ „სუბერგითა“, იუწყება პორტ-არტურის ყოფა-მდგომარეობაზე. ის ლაპარაკობს, 13—15 ივლისს იერიში მიიტანეს გარე სიმაგრეების წყობაზე, სახელდობრ ვოლჩისა, ზელიონისა და კრესტოვის მთებზე ქალაქიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთად. იაპონელთ აიღეს ვოლჩისა და ზელიონის მთები, ხოლო კრესტოვისა კი ვერა. პორტ-არტურის გაზეთი ამბობს. რუსების ზარალი იყო—200 მოკლული და 800 დაჭრილი, იაპონელთა ზარალი 17 ათასამდეაო. ამბობენ, იაპონელთ სულ 25 ათასი ყუმბარა გაისროლესო. სულ 180 ათასი კაცი, არტყია ქალაქს გარსაო 15 ივლისს საღამოთი დროებითი ზავი შეჰკრეს, რომ მოკლულნი, რომლებითაც ქედები იყო მოფენილი, მიწისათვის მიებარებინათ. 13 ივლისს რუსის ესკადრა გავიდა ნავსადგურიდგან და ადმირალ ტოგოს ესკადრაზე იერიში მიიტანა, ის ნაღმიან ადგილებს იქით იდგა. იაპონიის საკანონერო ნავი ნაღმს დაეტაკა, ცოტა დაზიანდა და თრევით წაიღეს. რუსის ესკადრა ისე დაბრუნდა, რომ ზარალი არ მოსვლია. ალყაშემორტყმულს ჯარს დიდ-ძალი სიმაგრეები უჭირავს. უკანასკნელი იერიში პორტ-არტურისა უეჭველია 2 აგვისტოს იქმნება. ყველანი მტკიცედ დარწმუნებულნი არიან, რომ ციხეს ვერ აიღებენ, თუმცა იაპონელების სიმამაცე ცხადია; ესენი ამჟამად ციხის ზარბაზნებსა სდგმენ დაჭერილს ქედებზე. ირწმუნებიან, «რეტვიზანიდან» თორმეტდიუმიანი ყუმბარა უსროლნიათ იმ ზარბაზნისათვის, რომელიც იაპონელებს ვოლჩის მთაზე დაუდგამთ. ყუმბარა მოხვედრია ზარბაზანსა და რავდენიმე კაცი მოუკლავს. ვოლჩის მთაზე რუსების ჯარებს უფროსობდა გენერალი ფოკი. სტესსელი ძალიან მხნედ იქცევა: რიყრაყზე დგება და ყველა ჯარებს ათვალიერებს.

ლონდონი. ჩვეულებრივი ყოველკვირეული მოგზაურობა იაპონიისაკენ „Ocean Comnany“ და „Chire Comnany“-ს გემებისა დროებით შესდგა, რადგანაც ჯერ ვერ დარწმუნებულან, რა საქონელი ჩაითვალოს კანონიერად. ის გემები კი, რომლებიც მოდიან ბრიტანიის კოლუმბიისაკენ, წაიღებენ ტვირთს იაპონიაში, მაგრამ პირობით. დაქირავებულმა გემებმა უნდა ხელწერილი დასდოს, რომ საქონელი სამშვიდობო საჭიროებისათვის მიაქვთ.

პეტერბურგი. „კენიგსბერგერ გარტუნგშე ცეიტუნგი“-ში დაბეჭდილია საყურადღებო აზრები, შორეულ აღმოსავლეთის ომის შესახებ, ორი გერმანიის აფიცრისა, რომელნიც რუსეთის მომქმედ ლაშქარში არი. პოლკოვნიკი გედკე ფიქრობს, ნამდვილი სამხედრო მოქმედება რუსის ლაშქრისა აგვისტოს თვის მეორე ნახევრიდან დაიწყებაო. იმის გამოანგარიშებით ენკენისთვის დასაწყისში (ახალის სტილით) მანჯურიაში იქმნება 450—500 ათასი რუსის ჯარი. ამ ჯარს ეყოლება რკინის გზის დაყოლებაზე ზაბაიკალის ოლქში დიდძალი მისაშველებელი ჯარი. გედკეს აზრით, თუმცა ციმბირის რკინის გზა არ შეედრება ევროპიის გზებს გადაზიდვის სისწრაფით, მაგრამ თავის დანიშნულებას მოსაწონად ასრულებსო. კარგად მცოდნე კაცნიც კი ამბობენ, ეს გზა დღეში მხოლოდ 700 კაცს მოიყვანსო, მაგრამ ნამდვილად კი დღეში სამჯერ მეტი მოჰყავს. მეორე მხრივ, იაპონელთა ლაშქრის მდგომარეობა ევროპაში უკეთ მიაჩნიათ, ვინემ არის ნამდვილად. ეს ერთის მხრივ თავის ქების ბრალია, რომელსაც იაპონელნი არ ზოგამენ, რომ ქვეყანას მოჰფინონ თავისი გამარჯვება. მეორე ცნობილი მწერალი პოლკოვნიკი ტანერა სწერს: «ბევრი მკითხველთაგანი, უეჭველია, იკითხავს, რა აზრისა ვარ ომის შესახებ? რამდენადაც ძნელია წინასწარმეტყველება ომის დროს, იმდენად სილაჩრედ მიმაჩნია, შევშინდე და არა ვსთქვა ჩემი აზრი აწინდელ ამბებზე. პორტ-არტურის შესახებ მე სულ სხვა აზრისა ვარ, ვინემ გენერალი მეკკელი, იაპონელთა მსწავლებელი. იმას სჯერა რომ პორტ-არტურს მალე აიღებენო, მე კი არ მჯერა და იმ აზრისა ვარ, რომ იაპონელნი ან სულ ვერ აიღებენ პორტ-არტურს, ან აიღებენ მაშინ, როცა იმას მნიშვნელობა აღარ ექნება. ჩემის აზრით, ამჟამად იაპონელებმა ომი უკვე წააგეს. იმათი გამარჯვება მაშინ იქნებოდა, თუ პორტ-არტურს პირველისავე იერიშით აიღებდენ და თუ მას შემდეგ მტკიცედ დამყარებულიყვნენ ჩრდილოეთ კორეიაში. იმათი წინ სვლა მანჯურიაში შეცდომათ მიმაჩნია. უეჭველია, ეს წინსვლა იმათ სრულიად დაღუპავს. ვფიქრობ, რუსების აზრი იმაშია, რომ თანდითან შეიტყუონ იაპონელები შიგნით ჩრდილოეთისაკენ. თუ ამავე დროს დროებით დასცლიან მუკდენსა და სხვა ქალაქებსა, არც ეს წაახდენს საქმესა. უკან დახევა ბრძოლით უნდა გაგრძელდეს იმ დრომდე, მინამ მანჯურიაში საკმაო რუსის ქვეითა ჯარი არ შივა, მინამ არ შეუერთდება ბალტიის ესკადრა ვლადივოსტოკისას და რუსის გემებს, რომელიც დაცურავენ მეწამულს ზღვაზე, მინამ არ დაამარცხებენ იაპონიის ფლოტსა და ზღვაზე ბატონობას არ მოიხვეჭამენ. მხოლოდ მაშინ რუსეთის ლაშქარს, თუნდა ხარბინიდანაც, შეუძლიან სატევი მოქმედება; მხოლოდ მაშინ დაიწყება საშინელი უკან დახევა იაპონელთა, ეს იქნება მეორე ბერეზინა იმ განსხვავებით, რომ აწინდელ შემთხვევაში ეს იქნება ოკეანე და მოხდება საშინელ ტეხვრა ზამთარში, ან ადრიან გაზაფხულზე 1904—1905 წ. აი ეს იქნება იაპონელთა აღსასრული. საქმე მხოლოდ იმაშია, მოახერხებს თუ არ კუროპატკინი ამ ძვირფასს უკან დახევას, თუნდაც ეს დაუჯდეს 30—40 ათას კაცად.

ადენი. თავისუფალ ფლოტის გემი «პეტერბურგი» შუადღისას ადენიდან აღმოსავლეთისკენ წავიდა.

თან-ძინი. (რეიტ. სააგ.) ბეიტანში პორტ-არტურის მხრიდგან ხუთშაბათს დიდხანს ზარბაზნის სროლა ისმოდა. მეფის მოადგილე მუკდენშია.

ბაქო. ექიმთა კომისიამ, უფროს საექიმო ინსპექტორის ანრეპის მეთაურობით, შეამოწმა მიხეილის საავადმყოფოში საექიმოდ მიყვანილი გლეხი რეშეტნიკოვი და გამოარკვია, რომ იგი ხოლერიანი არის. მის მეტი ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ანრეპი კასპიის გაღმა მხარეს გაემგზავრა.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩმა სტამბოლში განაცხადა, რომ აქამომდე ხონთქრისაგან დაკმაყოფილების პასუხი არ მიუღია, ამერიკის ქვეშევრდომთა უფლების შესახებ ოსმალეთში. სანამ მოლაპარაკება სწარმოებს, შესაძლოა, ამერიკის სამხედრო გემები გიბრალტარში დარჩეს, რათა დახმარება გაუწიოს ამერიკის ელჩს პორტასთან მოლაპარაკებაში, თუ რომ საჭიროება მოითხოვს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარმა განაცხადა, რომ მაკედონელთა საქმეს უკეთესობა ეტყობა, რომელიც თუმცა ნელა, მაგრამ თანდა-თან საკეთილო გზას ადგია.

24 ივლისი.

ტოკიო. (რეიტ. სააგ.). გარდა 700 მოკლულისა და ბრძოლის ველზე დატოვებულებისა სიმუჩენთან, ჩინელების სიტყვით, რუსებმა უფრო მეტი მოკლული და დაჭრილი წაიღეს. კუროკი დეპეშით იუწყება, ივლისის ბოლოს, რუსის მარჯვენა ფრთას მოძრაობა დაეტყო კუშულინძინთან და მოწინავე რაზმებმა მაღლობები დაიჭირეს იაპონელების ბანაკის პირდაპირ. ამიტომ კუროკიმ გადასწყვიტა იერიში მიეტანა რუსებზე და ჯარს უბრძანა წინ წასულიყო. 18 ივლისს ერთი რაზმი მარჯნივ გაგზავნა კუშულინძის პირდაპირ და მეორე—მარცხნივ იანძელინის პირდაპირ და რუსის მარჯვენა ფრთას მიაწვა. ადგილი მეტად უსწორ-მასწორო იყო და იერიშის მიტანა არ შეიძლებოდა. არტილერია მოემზადა იერიშის მისატანად. იაპონელებმა რუსის ბანაკი დაიჭირეს 9 საათზედ. შუბლის ჯარის იერიშიც მიდიოდა, მაგრამ შეგვიანდა, რადგან მარცხენა რაზმის გამარჯვებას უცდიდა. რუსები რამდენჯერმე სცდილობდნენ კუშულინძი დაეჭირათ, მაგრამ უკუ ქცეულ იქმნენ. მაშინ რუსის რაზმებმა კუშულინძს მიმართეს. ეს ადგილი სადევნელად უვარგისია. იანძელინის ბრძოლაში იაპონელების არტილერია ვერას გახდა. ცხენი სრულიად ვერ მიუდგებოდა ამ ადგილს და ზარბაზნებს ჯარის კაცები მიათრევდენ; რუსის 4 ბატალიონს იანძელინის უღელტეხილი ეჭირა. რუსის ჯარის შუბლზედ იერიშის მიტანა ამაოდ იყო. მაშინ ერთი რაზმთაგანი მაღლობზე აცოცდა, რომელიც რუსის ბანაკს დასცქეროდა. შუადღის შემდეგ ქვეითმა ჯარმა წინ წაიწია. იაპონელებმა არტილერიაც გააძლიერეს და თუმცა ძალიან ეცადნენ, მაგრამ მხოლოდ მეორე დღეს დასძრეს რუსები თავის ბანაკიდგან, თავგანწირულის იერიშის შემდეგ.

ტოკიო. (ვოლფის სააგ.). ოფიციალურად. სიმუჩენიდან იტყობინებიან, ამ ბრძოლაში იაპონელებს 194 მოუკლეს 650 დაუჭრეს. იაპონელებმა დამარხეს ღირსეულის პატივით 700 რუსი და ჩაუვარდათ ხელთა 6 ზარბაზანი, დიდძალი თოფი, ყუმბარები, დიდძალი ფქვილი, ქერი და სხვა სურსათი.—კუროკი იუწყება, ბრძოლაში კუშულინძინთან და იანზელინთან იმის ჯარს დააკლდა 906 ჯარის კაცი და 40 აფიცერი. რუსებს კი სულ ცოტა 2 ათასი კაცი დააკლდათ. 8 რუსის აფიცერი და 149 ჯარის კაცი ტყვედ წაიყვანეს. წაიღეს ორი საბარო ზარბაზანი ბევრი თოფები, ყუმბარები და კარვები. რუსებს უფრო დიდი ზარალი მოუვიდათ 15 ივლისს ფხალინის უღელტეხილზე, 5

რაგინდ ნიჭით სავსე იყოს
სხვა რაზედმე არ იშრომებს

—

თვის სიმდიდრის მოსაშოვნად
იბრძვის, ხმარობს ყოველს ღონეს!
დღე იტანჯვის, ვერ ისვენებს,
ღამით შფოთავს, ძილს იკრთომებს?.

—

მე კაცი ვარ უსწავლელი,
უჩინარი, შესაბრალი;
ვიკისრე და ხელთ ავიღე
აწ საგანი, ზნე მაღალი.

—

მას შევსწირე ჩემი შრომა,
ჩემი ღონე, ჩემი ძალი,
აჰა მისთვის ხელთ მიჭირავს
მე კალამი გაუშრალი!

—

ვინც მცენარე ბაღისაგან, აღმოიღოს,
სხვაგან დარგოს
რომ სიცხისგან არა დასჭკნეს,
წყალი ხშირად უნდა არგოს.

—

მავნებელთა ბალახთაგან
გამოსწმინდოს, გამობარგოს.
რომ კვლავ შრომა მებაღისა
ფუჭად აღარ დაიკარგოს.

—

თუ სიკვდილი უსამართლოდ
თავს დამესხას, გამომსრისოს,
და საყვარელს ჩემს სამშობლოს
განმაშოროს განმათვისოს,—

—

მას ვუტოვებ მცირე ნაშრომს—
გასართობს და სახალისოს!
მწარეს რისთვის ჩამომძახებს,
თუ რომ ტკბილი არ მადირსოს?

დიაღ, ბეჭდვითი ვისიმე პატიოსნების შელახვა საკადრისი არ არის, ლაჯანელი ბანოვანი კი, ვისაც არა მგონია, ხელს წამოჰკრავს... ლაჯანელმა ბანოვანმა გულის ფიცარზე დაიბეჭდოს სიტყვანი მაცხოვრისა: ამოიღე დვირე თვალისგან შენისა, რაიცა აუცილებელია მწერალისათვის. ეჰ!...

ამ ნაირის მღერით, წერით
შორს ვერ წახვალ ბანო—ანო,
ვერც შენ, ვითომ და მწერალო,
ლაჯანელო ბანოვანო!

ჯუჯა.

ძველებური სიმღერა.

(ძველის-ძველ რვეულიდგან).

ყოველგან და ყველასაგან
ისმის უში და წუწუნი,
რადგან ეხლა ყველამ იცის,
რაც რომ არის დასაწუნი.

მაგრამ მარტო ქვითინებენ.
საქმეს ყველა ერიდება.
წუწუნით და ქვითინითა
არაფერი გარიგდება.

ჩვენც რომ ჩვენსას ცრემლი ვღვაროთ,
საქმეს ამით ვერ ვუშველით.
ისევ მტერსა გავუმკლავდეთ...
რას ვუყურებთ, რაღას ველით?!

თუ დაგვხოცენ, დავიხოცნეთ.
სიკვდილი სჯობს სიცოცხლესა.
თუ კი კაცი არა კაცობს,
ხვალე მოკვდეს, თუ გინდ დღესა.

აღვიჭურვოთ ჩვენ საომრად...
ჩვენსა სატრფოს მივეშველოთ;
რომ დავიცვათ ჩვენც ჩვენობა,
შევეცადოთ, თავს ვუშველოთ.

ხალხს არ ძინავს... გაიღვიძა!
წინამძღოლი საჭიროა.
რომ სიმართლე გავამეფოთ,
დამერწმუნეთ, აწი დროა!

კორტოხა.

საქართველოს ამბები.

ქ. თელავი. თელავში «შურდულის» დეპეშათა სააგენტოს დაარსების გამო გვინდოდა ქების ლექსი გვეძღვნა «შურდულისათვის», მაგრამ არც ერთს, არც მეორეს, ქვემორე ამის ხელის მომწერლებს, იმ დალოცვილმა გამჩენმა პოეტობის ნიჭი არ მოგვცა. არა, ნიჭი-კი გვაქვს და დავწერთ-კიდეც გვაზაურად.

ოი გვიყვარს შურდული,
როგორც კარის ურდული!..
ნეტარებსა ეს გული,
ივლიანეს ერთგული.

ჩვენ განვიზრახეთ აქაურების გულში ჩავიხედოთ და დრო და დრო გაუწყოთ აქაური სასაცილო ამბები:

თელავის თვით მართველობამ გაითვალისწინა რა, რომ ბევრნი—მოსეირნე გიმნაზისტკებ-გიმნაზიელ-რიალისტ-სემინარიელ-სტუდენტობა გვეყოლებაო, წინათვე თადარიგი დაიჭირა: ხეები დაკაფა, მზეს დაუმლისო; ბალახი გათიბა და, მგონი, გაყიდა, ალლეიებში რბილი მიწა დაყარა, ფეხები არ ეტკინოთო, ღამე ლამფებს არ ანთებს, კარგა უალერსონ ერთმანეთსო, არ რწყამს, რევმატიზმი არ გაუჩნდეთო. მოსეირნენი დიდი მადლიერნი არიან; ადრესის მირთმევას აპირობდნენ, მაგრამ ვერ მოხერხდა.

ორნი.

დამაკვირდი.

—

მხოლოდ ის არის სულით ნათელი,
ვინც თვისის სწავლით ბევრს სხვას არგია;
ხოლო ურგები, გონებით ბნელი,
კაცობრიობის მეტი ბარგია.

—

თვალი ჰკუის სანთელია.

—

სიმართლე რომ გაჩენილა, სიცრუე თან
ღვარძლად ამოჰყოლია.

მელქისადექ მიდოსვაყი.

ნარევ-ნაკვეს-გასართობი

—

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი,
მშრომელი და მოლაქლაქე
რითი არის დასადარი?

მოლაქლაქე ჩვენი დროის
სტუდენტივით მოკაზმული,
ქუთაისში ქუჩა-ქუჩა
საარშიყოდ გამოსული.

როცა სხვებთან მუშა ხალხზედ
ლაპარაკსა არგებს ბედი,
მაღალ აზრით გამსჭვალული
გეგონება ჩვენი უბედი.

მაგრამ როცა ხეივანში
ლამაზ ქალთან მარტოდ არი,
საარშიყო სიტყვებითა
საარშიყოთ მოუბარი,

მუშა ხალხიც ავიწყდება,
ზნეობაც და სვინიდისი,
ნათესავსაც არ დაინდობს,
არ დაზოგავს გული მისი.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი,
ჩვენი დროის სტუდენტებსაც
მრავალი აქვთ ნაცოდვარი...

არდი-ალი.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

მილზე კუშულინძის სამხრეთად; იაპონელებმა ალყა შემოარტყეს რუსების უკან დახეულს რაზმსა — სამს პოლკსა ოთხის ზარბაზნით და საშინელი სროლა დაუწყეს მთელს რაზმსა. ბრძოლის ველზე გამოჩნდენ სანიტარები წითელი ჯვრის ბაირაღით და იაპონელებმა ნება დართეს წაეღოთ დახოცილნი და სროლა შესწყვიტეს.

ვაშინგტონი. რუსველტის თავმჯდომარეობით შემდგარს კაბინეთის კრებაზე სჯა იყო შეერთებულ შტატების ოსმალეთთან დამოკიდებულობაზედ. მთავრობა მადლირი არ არის, რომ პირდაპირ არ მოქმედობს.

სოფია. ღამე თოფის წამლის სარდაფს თავს დაესხნენ, რომელიც ქალაქს ახლოა. დარაჯმა, რომელიც თუმცა დასჭრეს, მაინც თოფი გაისროლა, მოცვივდნენ სხვა დარაჯნიც და გაფანტეს. ბოროტმოქმედნი უგზოდ მიიმალნენ.

კოპენჰაგენი. «კელნიშე ცეიტუნგის» წერილის გამო, რომელშიაც ნათქვამი იყო, დანია, შვეცია და ნორვეგია ყველა ომების დროს ნეიტრალიტეტს დაიცავენო, «რიტცაუს საგენტოს» აცნობინებენ საქმის მცოდნენი, რომ დანიას ამ გვარი პირობა არ დაუდვია. საზოგადო დადგენილებანი ნეიტრალიტეტზედ, რომელზედაც ლაპარაკი ჰქონდა აპრილში სამს ჩრდილოეთის სახელმწიფოსა, შეეხებოდა მხოლოდ რუსეთ-იაპონიის ომსა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

განცხადებანი

გამოვიდა მეექვსე გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნების

კატალოგისა,

რომელიც მსურველს შეუძლიან მიიღოს უფასოდ მაღაზიიდგან.

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

23 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	6—7$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	92 ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	88$^3/_4$ მშვიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	388 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. ვესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	298 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	258 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—



ქუთაისში

ს. გ. თოფურ ას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის ფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНІАНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—8)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდონბრინი" მ. ვ. ლებედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაისხნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე - უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა, — იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: **Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.**

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—13)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, გაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირაუქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რამელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—.1) ალ. გ. საათაშვილი.



სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით **7** შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალა. ოქროსი „კომპასი", ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)

აგმოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის — 60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა.

აგრეთვე მაღალ-მაღალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

...ичное клеймо
С.-Петербургъ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს,

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6—23).

Дозволено цензурою Тифлисъ 24 іюля 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій